ხაშურის მოამბე

№43 (124) 14 ნოემბერი, სამშაბათი, 2017 წელი

- არჩევნების მეორე ტური -

,,ღირსებააყრილთა" ღირსეული პასუხი

გიორგი გურასპაშვილი ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია

ვიდრე სათაურში გამოტანილ „თეზისს" გავშლიდე, ძვირფასო მკითხველო, უშუალოდ თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურზე ვისაუბროთ. 12 ნოემბერი მართლაც უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენა იყო ჩვენი მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში. ამ დღეს 48 963 ამომრჩეველს პასუხი უნდა გაეცა კითხვაზე: ვინ იქნებოდა ის პიროვნება, რომელიც მომავალი ოთხი წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მთავარი მენეჯერი (ჩემი სუბიექტური აზრით, მუნიციპალიტეტის მერ-

ში, თავისი არსით, უფრო მეტად სწორედ, ასე ვთქვათ, სამეურნეო მუშაკი იგულისხმება, ვიდრე პოლიტიკოსი) იქნებოდა. კანონმდებლობით, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ტურის შემდეგ პარტია „ქართული ოცნების" კანდიდატს გიორგი გურასპაშვილს ძალზე სოლიდური უპირატესობა ჰქონდა, მაინც მეორე ტური დაინიშნა, რადგან 50 პროცენტიანი ბარიერი ვერცერთმა სუბიექტმა ვერ გადალახა. მეორე ტურში კი ორი კანდიდატი დაუპირისპირდა ერთმანეთს: გიორგი გურასპაშვილი და რამაზ ნოზაძე, რომელიც დამოუკიდებელ კანდიდატად იყრიდა კენჭს. ვიდრე უშუალოდ არჩევნების შედეგებზე ვისაუბრებთ, უცილობლად უნდა ვთქვათ თვითონ არჩევნების პროცესზე. როგორც ჩანს, და ეს ამ არჩევნებმაც დაადასტურა, ქვეყანა ნელ-ნელა ემსგავსება ნამდვილ დემოკრატიულ სახელმწიფოს. ოთხმოცდაათიანი წლების შემდეგ, დაახლოებით, ხუთათეულამდე ყველანაირი „რანგის" აჩევნები გადავიტანეთ. გვქონდა პერიოდი, როდესაც ხაშური არა მარტო ქვეყნის, არამედ ლამის მსოფლიოს პოლიტიკურ ეპიცენტრში აღმოჩნდა და, ფაქტობრივად, არ დარჩენილა მსოფლიოს არცერთი მსხვილი მედიასაშუალება, რომელსაც ჩვენს ქალაქში არჩევნების დროს მომხდარი საშინელებები არ გაეშუქებინოს. იყო სპეცრაზმელების მიერ დარბეული უბნები, საარჩევნო უბნების კომისიის წევრებისა თუ თავჯდომარეების დაპატიმრებები, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, მთლიანად შეცვლილი ბიულეტენის ურნები და სხვა უბედურებები. დიახ, ამ ყველაფერმა ჩვენს თავზე გადაიარა და კარგად ნაცნობი თემაა. 2012 წლის შემდეგ, ხელისუფლებაში მოსული „ქართული ოცნების" ერთ-ერთი უდიდესი მიღწევა, ჩემის აზრით, სწორედ არჩევნებს უკავშირდება. ყოველ შემთხვევაში, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მსგავსი დემოკრატიული არჩევნები ჩვენ არ გვახსოვს. მთელი ზემოაღნიშნული სისხლის სამართლის დანაშაულობების შემდეგ, დღემდე დაჯერებაც კი მიჭირს, რომ წლევანდელი არჩევნების პირველი ტურის დროს, აბსოლუტურად არ დაფიქსირებულა რაიმე სახის დარღვევა. მეორე ტურზე, ჩვენთვის კარგად ნაცნობმა ოპოზიციურმა პარტიებმა და არა მარტო მათ, სრული მობილიზაცია გამოაცხადეს და, როგორც თვითონ ფიქრობდნენ, „ფრონტის ხაზზე" ათაულობით (თუ ასეულობით არა) დამკვირვებელი მოავლინეს. მათი მთავარი ფუნქცია იყო თვით უაზროდ მოხეტიალე ბედურაც კი დაეფიქსირებინათ, რომელიც, შემთხვევით, საარჩევნო უბანზე შეფრინდებოდა (რა იცი, გაწვრთნილი არ ყოფილიყო და ყალბი ბიულეტინი არ შეეტანა იქ?) და რა მიიღეს შედეგი? კვლავ ნული! მხოლოდ ერთი საჩივარი დაიწერა და ჩვენის აზრით, ისიც ღიმილის მომგვრელი. აბსოლუტურად მშვიდი გარემო, აბსოლუტურად თანასწორი უფლებები და კანონის აბსოლუტურად სრული დაცვა – ასეთი იყო არჩევნების მეორე ტური. შემდეგ კი ასეთი დაფიქსირდა: გიორგი გურასპაშვილი – 10 224 ხმა (61,31%), რამაზ ნოზაძე – 6453 ხმა (38,69%). რა თქმა უნდა, ეს წინასწარი მონაცემებია, მაგრამ ვეჭვობთ, რამე შეიცვალოს. ყოველ შემთხვევაში, ათი, ოცი და, გნებავთ, ასი და ორასი ხმით ცდომილებაც აღარაფერს შეცვლის.

ვულოცავთ ბატონ გიორგის ამ ღირსეულ გამარჯვებას და გვჯერა იგი კვლავ ისეთივე წარმატებით გაარგძელებს იმ ინფრასტრუქტურულ თუ სხვა სახის პროექტებს, რომელიც სასიცოცხლოდ აუცილებელია ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის.

ახლა კი, სათაურში გამოტანილი "თეზისის" შესახებ. პიარტექნოლოგიების ისტორია საუკუნეს და მეტს ითვლის. დასავლეთში ეს ტექნოლოგია მთელ მეცნიერებად ჩამოყალიბდა და, ბუნებრივია, ჩვენთანაც მძლავრად მოიკიდა ფეხი. დღეს პიარტექნოლოგიების გარეშე თითქმის წარმოუდგენელია რაიმე პოლიტიკური კარიერის აწყობა. წლევანდელ ადგილობრივ არჩევნებში, რა თქმა უნდა, გამოყენებულ იყო ეს ტექნოლოგიები. ალბათ, არა ისეთი მძლავრი დოზით, როგორც, ვთქვათ, ამერიკაში ხდება, მაგრამ ეს მაინც შესამჩნევი იყო. რატომ დამჭირდა ამ "პოსტულატის" მოტანა? მოგახსენებთ: "ქართულმა ოცნებამ" და მისმა კანდიდატმა აბსოლუტურად სწორად წარმართეს მთელი წინასაარჩევნო პროცესი, მათ სხვადასხვა გზით სრულიად ზუსტად მიიტანეს მთავარი გზავნილი ამომრჩევლამდე და შედეგიც დადეს. აი, მისი ოპონენტის მთავარი სლოგანი კი, პირდაპირი მნიშვნელობით, შეურაცხყოფად იქცა ამომრჩეველთა უმრავლესობისთვის. "ხაშურს უნდა დავუბრუნო ღირსება"–ამ სლოგანს რამაზ ნოზაძე იმეორებდა ყველა შეხვედრაზე თუ სატელევიზიო გამოსვლისას. ამომრჩეველმაც ზუსტად ისე მიიღო ეს სლოგანი, როგორც უნდა მიეღო. გამოდიოდა, რომ 2012 წლის შემდეგ, მთელი 5 წელი ხაშურლები ღირსებააყრილნი ვიყავით. მიიღო კიდეც საკადრისი პასუხი და "ღირსებააყრილებმა" ღირსეული პასუხიც გასცეს ამ შეურაცხყოფას.

და ერთიც: პიარი, რომელიც მთლიანად სხვის შეურაცხყოფაზე და ბრალდებებზეა აგებული და თანაც ფაქტებით ვერ ადასტურებ ამას, საწყისშივე განწირულია მარცხისთვის.

მოკლედ, 2017 წლის ადგილობრივი არჩევნები ისტორიის კუთვნილება გახდა. სულ რამდენიმე დღეში ახლადარჩეული საკრებულო და ახლადარჩეული მერი ოფიციალურად დაიწყებენ საქმიანობას. ჩვენი, რიგითი ამომრჩევლების უმთავრესი სურვილი იქნება, რომ მათ ამ საქმიანობაში წარმატებები ენახოთ, რომელიც მთელი მუნიციპალიტეტის წარმატებად იქცევა.

გ. გოგოლაძე

ხაშურის მუნიციპალიტეტში ჩატარებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის შედეგები ცალკეული უბნების მიხედვით (წინასწარი შედეგები)

უბანი \ სუბიექტი	41	42	ოქმი
1	168	130	ოქმი
2	312	101	ოქმი
3	327	127	ოქმი
4	256	130	ოქმი
5	202	144	ოქმი
6	264	178	ოქმი
7	292	108	ოქმი
8	147	91	ოქმი
9	253	103	ოქმი
10	184	140	ოქმი
11	287	150	ოქმი
12	120	120	ოქმი
13	259	124	ოქმი
14	163	165	ოქმი
15	209	104	ოქმი
16	195	131	ოქმი
17	195	166	ოქმი
18	238	152	ოქმი
19	144	119	ოქმი
20	225	149	ოქმი
21	225	125	ოქმი
22	131	84	ოქმი
23	183	205	ოქმი
24	80	48	ოქმი
25	132	83	ოქმი
26	310	197	ოქმი
27	100	64	ოქმი
28	218	176	ოქმი
29	233	81	ოქმი
30	216	130	ოქმი
31	90	67	ოქმი
32	264	159	ოქმი
33	238	149	ოქმი
34	275	148	ოქმი
35	154	151	ოქმი
36	234	155	ოქმი
37	207	126	ოქმი
38	64	112	ოქმი
39	150	61	ოქმი
40	20	21	ოქმი
41	54	35	ოქმი
42	220	116	ოქმი
43	203	196	ოქმი
44	146	109	ოქმი
45	250	141	ოქმი
46	220	125	ოქმი
47	238	101	ოქმი
48	340	90	ოქმი
49	163	206	ოქმი
50	119	147	ოქმი
51	123	90	ოქმი
52	184	123	ოქმი

მნიშვნელოვანი ფენაძენი

დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება და მოღვაწეობა არაერთი მკვლევარის ყურადღებას იპყრობდა და იპყრობს. მისი გარდაცვალების შემდეგ გამოვიდა ზაქარია ჭიჭინაძის ვრცელი ნარკვევი, ამავე პერიოდში დაიბეჭდა ნიკო ყიფიანის „ცხოვრება დიმიტრი ყიფიანისა". 1913 წელს, „სახალხო გაზეთში", დაიბეჭდა არჩილ ჯორჯაძის ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური მონოგრაფია მიძღვნილი დიმიტრი ყიფიანისადმი. გასული საუკუნის 30-იან წლებში, დიმიტრი ყიფიანი პროფესორ სიმონ ხუნდაძის კვლევის საგანი გახდა. 1930 წელს, მისი რედაქციით, გამოიცა დიმიტრი ყიფიანის მემუარები, ხოლო მკვლევარის გარდაცვალების შემდეგ გამოვიდა მისი ვრცელი მონოგრაფია „დიმიტრი



ყიფიანი." 40-იან წლებში პროფესორმა შალვა ჩხეტიამ არაერთი პუბლიკაცია მიუძღვნა დიმიტრი ყიფიანს. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი „დიმიტრი ყიფიანი და საგლეხო რეფორმა" და „დიმიტრი ყიფიანის მკვლელობა", რომელთაც თან ახლავს მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი დოკუმენტური მასალა.

50-იანი წლების შემდეგ, დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის კვლევა თითქმის შეჩერდა, თითქმის აღარ იკვლევდნენ, თუნდაც როგორც ეს 30- 40 იან წლებში ხდებოდა (ს. ხუნდაძე, შ. ჩხეტია). თუმცა, შეიძლება დავასახელოთ ზოგიერთი მკვლევარი, რომლებიც საკვლევი თემიდან გამომდინარე, „იძულებული" იყვნენ, დიმიტრი ყიფიანსაც შეხებოდნენ (გრ. თოდუა, ი. ასათიანი, ნ. ორლოვსკაია და სხვა).

საბჭოთა იდეოლოგიური წნეხიდან გამომდინარე, დიმიტრი ყიფიანი ლიბერალურ-დემოკრატიული თავადაზნაურობის იდეოლოგად იყო მიჩნეული და, ცხადია, მომგებიანი არ იყო მისი კვლევა.

სურათი შეიცვალა 80-იანი წლებიდან, როცა 1989 წელს გამოვიდა ი. უთურაშვილის შესანიშნავი მონოგრაფია „დიმიტრი ყიფიანი", 1990 წელს, დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ხელმეორედ დაიბეჭდა დიმიტრი ყიფიანის „მემუარები", ხოლო უფრო მოგვიანებით, 2014 წელს, გ. ყორანაშვილმა გამოსცა ბრწყინვალე ნაშრომი „დიმიტრი ყიფიანი-მეორე დიმიტრი თავდადებული". 2009 წელს გამოვიდა ფოტო-ალბომი „დიმიტრი ყიფიანი". 2016 წელს დღის სინათე იხილა კიდევ ერთმა ალბომმა -„დიმიტრი ყიფიანი და მისი შთამომავლები". ორივე ალბომის შედგენა დიმიტრი ყიფიანის შთამომავლის - თამარ მიქაძის სახელთან არის დაკავშირებული. ალბომები დიდ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ დიმიტრი ყიფიანის შესწავლის საქმეში.

და მაინც, დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, მისი ნაფიქრალ-ნააზრევის შესწავლის აღორძინება დაკავშირებულია თამაზ ჯოლოგუას სახელთან; 80-იანი წლების დასაწყისში, თამაზ ჯოლოგუას დაინტერესების საგანი ხდება დიმიტრი ყიფიანი, თითქმის 40 წელია, თავისი კვლევის ობიექტად გაიხადა და შედეგიც მრავალმხრივ ხელშესახები და მრავალმნიშვნელოვანია. თამაზ ჯოლოგუამ შეძლო დიმიტრი ყიფიანისათვის მოეხსნა მანამდე მის მიმართ გამოთქმული ბრალდებები და საზოგადოებისათვის ეჩვენებინა ნამდვილი ეროვნული მოღვაწე. მან არაერთი საგაზეთო, თუ საჟურნალო სტატია მიუძღვნა ქვეყნისთვის თავდადებულ მოღვაწეს. კვლევის შედეგებმა ასახვა ჰპოვა მის საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებში, მონოგრაფიაში „დიმიტრი ყიფიანი".

მანვე გამოსცა სამტომეული - „საშვილიშვილო მოკავშირე - დიმიტრი ყიფიანი." თავფურცლის მეორე მხარეზე ვკითხულობთ: „რუსული ტექსტები თარგმნა, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვა, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თამაზ ჯოლოგუამ." ეს მოკრძალებით წიგნის თავფურცლის მეორე მხარეს არის აღნიშნული. მოკრძალებით ვამბობთ, რადგან სამტომეულის გამოცემა დიდ შრომასა და პასუხისმგებლობასთან იყო დაკავშირებული. ეს არც მარტო მასალებია XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის, როგორც ეს მითითებულია თავფურცლის პირველ მხარეს. ეს უფრო დიდი, ვიტყოდით, მონუმენტური ნაშრომია დიმიტრი ყიფიანის შესახებ, ეს უფრო ერთი კაცის, ერთი პიროვნების, ამ შემთხვევაში, ცხადია, დიმიტრი ყიფიანის ენციკლოპედიაა.

XIX საუკუნეში დიდმნიშვნელოვანი ძვრები მოხდა ქართულ სინამდვილეში. მარტო მწერლობის, თეატრის, ჟურნალისტიკის, საერთოდ, კულტურის სფეროში მიღწეული შედეგები კმარა ამის საილუსტრაციოდ. ამ სფეროში დიმიტრი ყიფიანის ღვაწლი შეიძლება, მოკრძალებულად ჩანდეს, მაგრამ როცა გაჩნდა მოთხოვნილება საზოგადოებრივი ცხოვრებისა, აქ უკვე ვერ ვიტყვით, რომ დიმიტრის ღვაწლი მოკრძალებულია. თამამად შეგვიძლია, რომ ვთქვათ: დიმიტრი ყიფიანი არის საქართველოში საზოგადოებრივი ცხოვრების დამწყები, მესაძირკვლე. თავად დიდი საზოგადო მოღვაწე, რომლის მსგავსიც, ალბათ, იშვიათად ყოფილა ყიფიანამდელ თუ მის შემდგომ საქართველოში.

2016 წლის მიწურულს, წიგნის თაროებზე გაჩნდა დიმიტრი ყიფიანის თხზულებების ათტომეულის პირველი ტომი, რომელშიც წარმოდგენილია დიდი მამულიშვილის პოეტური, პროზაული და ნათარგმნი მემკვიდრეობა. თავფურცელზე აღნიშნულია, რომ ტომი შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თამაზ ჯოლოგუამ.

ათტომეულის პირველ ტომში შესულია ავტორის პოეტური და პროზაული ნაწარმოებები, აგრეთვე, რამდენიმე თარგმანი.

დიმიტრი ყიფიანის პოეტური ნაწარმოებები, ცხადია, არ გამოირჩევა მაღალმხატვრული ღირებულებებით, მაგრამ საინტერესო და მნიშვნელოვანია, მისი ავტორის განწყობის გადმოცემის თვალსაზრისით.

სულ სხვაა დიმიტრი ყიფიანის პროზაული ნაწარმოებები, მართალია, ამ შემთხვევაშიც ავტორის მიერ შექმნილი ნაწარმოები მაღალი მხატვრული ოსტატობით არ გამოირჩევა, მაგრამ საინტერესოდაა გადმოცემული ამბავი, რომელსაც იგი მოგვითხრობს. ამ მხრივ გამოირჩევა მისი „ეკატერინე ჩიჩუა - გურიის უკანასკნელი მთავრის ასული", „ამ მთისა, იმ მთისა და სხვათა შორის წოდებრიობისათვის ამიერკავკასიაში", „თავად ანჩაბაძისა და თავად ინალიშვილის ქალის ამბავი", „თურქმენული ცხენი", „უცნაური ნადირობა"...

ტომში წარმოდგენილია თარგმანების მხოლოდ ერთი ნაწილი. დიმიტრი ყიფიანი შექსპირის პირველი მთარგმნელია საქართველოში. მის მიერ არის თარგმნილი „რომეო და ჯულიეტა", „ორი ვერონელი აზნაური" „ვენეციელი ვაჭარი" და „ტყუილ უბრალოდ ვაი -ვაგლახი" („აურზაური არაფრის გამო") დიმიტრის თარგმნილია მოლიერის კომედიები. ამ გამოცემით მკითხველი ეცნობა მის მიერ თარგმნილ კომედიებს: „ცოლის შერთვინება", „სიყვარული მკურნალობს" და „სიყვარული მხატვრობს".

უნდა შევნიშნოთ, რომ შექსპირის ქართულ ენაზე გენიალურ მთარგმნელს ივანე მაჩაბელს არ უთარგმნია ის პიესები, რომლებიც უკვე თარგმნილი იყო დიმიტრი ყიფიანის მიერ, რასაც ბატონი თამაზ ჯოლოგუა ასეთ კომენტარს ურთავს: „შესაძლებელია, ეს ივ. მაჩაბლის მხრიდან წინამორბედის სახელისა და შრომისადმი პატივისცემის გამოხატულება იყოს", რაც ნამდვილად არ არის გამორიცხული. ამაზე მიგვანიშნებს ამ ორი მოღვაწის ადამიანური ურთიერთობებიც.



დიმიტრი ყიფიანის თარგმანებს დღეს ისტორიული მნიშვნელობა აქვს. თავის დროზე კი ეს დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ქართველი მკითხველი ეცნობოდა ევროპულ მწერლობას, ქართული თეატრის რეპერტუარი მდიდრდებოდა ევროპული დრამატურგიის ბრწყინვალე ნიმუშებით. დღეს, რა თქმა უნდა, ხელთ გვაქვს ამ თხზულებათა ახალი თარგმანები, სხვა დონეზე შესრულებული.

ბატონმა თამაზ ჯოლოგუამ ამჯერადაც არ უღალატა თავის საგამომცემლო პრინციპებს და დიმიტრი ყიფიანის თხზულებებთან ერთად მოგვცა ფართო პანო შენიშვნებისა და კომენტარების სახით, რაც მკითხველს უადვილებს ღრმად ჩაწვდეს დიდი მამულიშვილის ნაფიქრ - ნააზრევს.

ათტომეულის შინაარსზე თამაზ ჯოლოგუა წერს, რომ შემდეგ ტომებში შევა დიმიტრი ყიფიანის პუბლიცისტური, ლიტერატურული, საისტორიო, იურიდიული თხზულებები, ტექსტები ბატონყმობისა და თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის შესახებ, ავტობიოგრაფიული ნაწარმოები (მათ შორის, დღიურები და „მემუარები"), სახელმძღვანელო „ახალი ქართული გრამატიკა", რეცენზიები, საჯაროდ წარმოთქმული სიტყვები, სხვადასხვა ტიპის ჩანაწერები, დაუმთავრებელი თხზულებები და, დასასრულ, ოფიციალური, საქმიანი და კერძო მიმოწერა.

უნდა აღინიშნოს, რომ დიმიტრი ყიფიანის ნაწერები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი აქამდე არ გამოქვეყნებულა, მრავალმხრივ საინტერესო მასალაა XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის.

ამდენად, მისი თხზულების ათტომად გამოცემა დიდი საშვილიშვილო საქმეა, რომელიც გვირგვინად უნდა დაადგეს იმ დიდ საქმიანობას, რაც დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლის თვალსაზრისით გააკეთა თამაზ ჯოლოგუამ.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მინდინარე წელს თამაზ ჯოლოგუას საქმიანობა ხაშურის მინიციპალიტეტის საკრებულომ და გამგეობამ დიმიტრი ყიფიანის სახელობის პრემიით აღნიშნა, რაც მისი შრომის დიდი აღიარება.

ვულოცავთ მკვლევარს დიდი მამულიშვილის სახელობის პრემიას.

თამაზ ლაცაბიძე,
ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების მმართველი, დიმიტრი ყიფიანის სახელობის პრემიის ლაურეატი, ხაშურის საპატიო მოქალაქე.

- საჩუქარი -

სურამის ბიბლიოთეკის ფონდს 200 წიგნი დაემატა

7 ნოემბერს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ახალგაზრდული მართვის პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსმა ნუგზარ კანდელაკმა, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელთან ბექა ღაჟონიასთან ერთად, პროექტის „წიგნი ყველა სოფელს" ფარგლებში, სურამის ბიბლიოთეკას, 200-ზე მეტი წიგნი გადასცა. პროექტი ოთხი წელია რაც ხორციელდება, მიზნად ისახავს წიგნიერების დონის ამაღლებას, ახალგაზრდებისათვის და არამარტო, თანაბარი პირობების შექმნას, კულტურული თუ საგანმანათლებლო საქმიანობისათვის. პროექტი ყოველ ჯერზე იკრებს ძალებს და უფრო მეტად მასშტაბური, საყოველთაო და სახალხო ხდება. „წიგნი ყველა სოფელს" - არასამთავრობო, სახელმწიფო, ბიზნეს სექტორის, საქართველოს საპატრიარქოს ერთიანი ძალისხმევითა და ორგანიზაცია „სტუდენტური ერთიანობის" ინიციატივით ხორციელდება. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, „ვისოლ ჯგუფის", საპატრიარქოს ახალგაზრდული მოძრაობა „დავითიანნის", საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის, „პალიტრა L"-ის, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის" და, რა თქმა უნდა, ქართველი ხალხის მხარდაჭერით, ამ პროექტმა მრავალი ქალაქის, რაიონის, სოფლის თუ დაბის სასკოლო თუ ცენტრალურ ბიბლიოთეკებს გადასცა წიგნები უსასყიდლოდ.

ბექა ღაჟონია („სტუდენტური ერთიანობის" თავჯდომარე): პროექტი „წიგნი ყველა სოფელს" უკვე ოთხი წელია რაც ხორციელდება. ჩვენ შევძელით, რომ საქართველოს მასშტაბით მოვიცავით 200-ზე მეტი ბიბლიოთეკა და გადავეცით მათ 50 000-ზე მეტი წიგნი, სრულიად უსასყიდლოდ. პროექტი მიმდინარეობდა სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით და, ვიმედოვნებ, სამომავლოდაც წარმატებით გაგრძელდება. აქვე დავამატებ, რომ ძალიან დიდი ჩართულობაა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მხრიდან, პრაქტიკულად, მათი მეთოდოლოგიის საშუალებით ხორციელდება ეს ყოველივე, ადამიანურ რესურსს, რაც წიგნების გადასახარისხებლად და ტრანსპორტს, რომელიც მათ გადასატანად არის საჭირო, ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს. ასევე, „ვისოლ ჯგუფი" გვერდში უდგას პროექტს, ვისოლის ბენზინგასამართ სადგურებზე, მის რესტორნებსა და სუპერმარკეტებში განთავსებულია ყუთები, სადაც მსურველებს შეუძლიათ მოიტანონ წიგნები. აგრეთვე, დიდი მადლობას გადავუხდი გიორგი კეკლიძის „ეკვილუბრიუმსაც" პროექტის მიმდინარეობისას გაწეული ღვაწლისთვის. დღეს, ვესტუმრეთ სურამის ბიბლიოთეკას და გადავეცით 200-ზე მეტი წიგნი. აღვნიშნავ, რომ ადგილობრივი ბიბლიოთეკარები შესანიშნავად უძღვებიან დაკისრებულ მოვალეობას, იდეალურადაა მოწყობილი წიგნსაცავი ფონდი, აქტიურად მუშაობენ ელექტრონულ კატალოგებზე, რომელიც ნამდვილად დასაფასებელია და რაც მთავარია, სურამის ბიბლიოთეკამ წარმატებით შეითავსა ახალგაზრდული ცენტრის სტატუსიც, აქ, ნამდვილად, კარგი გარემოა შექმნილი ახალგაზრდებისათვის, რათა მშვიდ და კომფორტულ გარემოში შეძლონ წიგნის წაკითხვა, საჭირო ინფორმაციის მოძიება და ინტერნეტით სარგებლობა. წარმატებასა და მკითხველის სიჭარბეს ვუსურვებ სურამის ბიბლიოთეკას.

აღვნიშნავ, რომ პროექტს „წიგნი ყველა სოფელს" საფუძვლად უდევს და ერთგვარ წინამორბედად გვევლინება საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის გიორგი კეკლიძის თაოსნობით შექმნილი საგანმანათლებლო მოძრაობა „ეკვილიბრიუმი", რომლის უმთავრეს მიზანს, რეგიონული და სასოფლო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდით შევსება, საგანმანათლებლო ღონისძიებების გამართვა წარმოადგენს. როგორც ცნობილია, მოძრაობამ, 400-მდე სოფელს გადასცა წიგნები და ქვეყნის გარეთ 15-მდე ბიბლიოთეკაში გახსნა ქართული წიგნის კუთხე. „ეკვილიბრიუმი", დღესდღეობით, რჩება ერთ-ერთ მთავარ მხარდამჭერად და პარტნიორად პროექტისა „წიგნი ყველა სოფელს".

დამეთანხმებით, საქართველოში წიგნიერების დონე, ცოტა არ იყოს, შემაშფოთებელია, თუმცა, სურამის ბიბლიოთეკაში შემოსული ნორჩი მკითხველების უწყვეტმა ნაკადმა დაგვამშვიდა. ამ პროექტების ეფექტურობაშიც დავრწმუნდით და ვიმედოვნებთ, კვლავაც წარმატებით გაგრძელდება. ცოდნა, განათლება ძალაა – ძალა, რომელიც აღებს ყველა კარს და ბაზისია უკეთესი ცხოვრების დაგეგმისათვის.

თ. ახალკაცი

- ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან -

„ცოდნის კარიბჭე" ცოდნის კარს აღებს

პატარების ცხოვრებაში ზეიმი მეტად მნიშვნელოვანი დღეა, რომელსაც თან ახლავს სასიამოვნო მოლოდინი, რაც მათ ცნობიერებაში ღრმად აღიბეჭდება.

31 ოქტომბერს, სურამის კულტურის ცენტრის დარბაზი, პატარების ჟრიამულმა მოიცვა, გაიმართა პირველკლასელთა ღონისძიება „ცოდნის კარიბჭე", რომელშიც მონაწილეობდნენ ხაშურის №1, №2, №3, №7, №8, №9 და სურამის №1 საჯარო სკოლები. ღონისძიებას უძღვებოდა მომღერალი ნინი მალხაზიშვილი. ბავშვებმა მოხიბლეს დამსწრე საზოგადოება, საგანგებოდ მორთულ-მოკაზმულ დარბაზში ნამდვილი ზეიმი მოუწყეს მაყურებელს. ყველა ბედნიერი და გახარებული იყო და ამავე დროს, გაკვირვებულიც, პატარების ესოდენ უსაზღვრო შესაძლებლობებით. აგრეთვე, გამოიწვიეს ჟიურის აღფრთოვანებაც, რომლის თავჯდომარე გახლდათ ხაშურის რესურსცენტრის უფროსი ზვიად გოგუაძე.

უსაზღვრო ნიჭიერება, საოცარი უნარ-ჩვევები, მსახიობური ოსტატობა წარმოაჩინეს პატარებმა, რაც პედაგოგების: ხათუნა გელაშვილის, ლალი კახეთელიძის, მაკა ცხადიაშვილის დამსახურებაა. მათ მთელი თვის განმავლობაში თავი არ დაზოგეს, რათა პატარების შესაძლებლობები მაყურებლამდე მიეტანათ.

მადლობას გადავუხდით მასწავლებლებს, მოსწავლეებს და მათ მშობლებს. უღრმესი მადლობა კ/ც გაერთიანებას, დირექტორს გიორგი ბოლოკაძეს, მხარდაჭერისათვის. ღონისძიებას საოცარი ელფერი შემატა ბავშვთა ვოკალურმა ანსამბლმა „მულტიპულტი" – ხელმძღვანელი ია კაპანაძე და ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „სურამი" – ხელმძღვანელი - რეზო გელაშვილი, მადლობა მათ თანადგომისათვის. ღონისძიების დასასრულს პირველკლასელებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები და დიპლომები. ჩვენ კი, ისღა დაგვრჩენია გზა დავულოცოთ ჩვენ პატარა ექიმებს, ჯარისკაცებს, დიზაინერებს.

გ. მაღრაძე

თედო თედიაშვილის ნახატები ელენე ახვლედიანის სახელობის გალერეაში გამოიფინა

5 ნოემბერს, ელენე ახვლედიანის სახელობის გალერიაში, ფლევის საჯარო სკოლის მოსწავლის, 13 წლის თედო თედიაშვილის ნახატების პერსონალური გამოფენა მოეწყო. თედო განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირია, ხატვა ცოტა ხნის წინ დაიწყო, თუმცა, მისი ფერწერული ნამუშევრები თემატურად ძალიან ღრმა და მრავალფეროვანია. გამოფენა ერთი კვირა გაგრძელდა და მნახველთა დიდი მოწონება დაიმსახურა. გამოფენის ორგანიზებაში მას სკოლის დირექტორი და ფლევის მაჟორიტარი დეპუტატი დაეხმარნენ.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.